

ტურნირები და შედეგები

ჰალარაპი. ესპანეთის ქალაქ ლიონარესში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ლიდერობა ხელთ იგდეს არტურ იუსუპოვმა, ალექსანდრე ბელიავსკიმ და ვიშვანტან ანანდამ (ინდოეთი), რომლებსაც ორი წრის შემდეგ ორი ქულა აქვთ. გადადებულ პარტიაში იუსუპოვმა დაამარცხა ვალერი სალოვი, გატაკამსკიმ კი ლიუბომირ ლიუბოვიჩი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პარტიაში, რომელიც ცხრა საათს გრძელდებოდა 105 სვლა გაკეთდა. ორი ტურის შემდეგ ლიდერებს მიჰყვებიან იან ტიმანი და ვასილი ივანჩუკი — 1,5:1,5 ქულა. გაჩი კასპაროვს, ანატოლი კარპოვს და გატაკამსკის 1-1 ქულა აქვთ.

აზროსნობა. მსოფლიოს გარშემო ერთადგილიანი იალქნიანი

ნაგებობა რბოლაში („პოპ ჩელენჯი“) შეამე ეტაპზე დაწინაურდა ფრანგი ალენ გოტიე ნაიუ — „ჟენერალ კონკორდი“. იგი, როგორც საექო-ალისტები აღნიშნავენ, სხვებზე ადრე დაამთავრებს მესამე, ბოლოსწინა ეტაპს (სინდნიდან პუნტადელ-ესტემდე) და ალბათ ხელთ იგდებს ლიდერობას სამი ეტაპის შემდეგ.

მალეოსნობა. კარლსრუეს მანეში გაიმართა საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც კვლავ დამარცხდა (ამ სეზონში უკვე მესამედ) კანადელი ბენ ჯონსონი. 60 მეტრიან დისტანციაზე მას აჯობა კუბელმა ხოელ ისასიმ. დრო ორივეს ერთნაირი აქვს — 6,3 მაგრამ ფოტოფინიშში უმნიშვნელო უპირატესობა კუბელ სპრინტერს მიანიჭა.



ევროპის ქვეყნებში ეროვნულ-საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები გაიმართა.

გაღწივა

9 მარტში სულ 23 გოლი გავიდა. მიმოხილველთა აზრით, ეს ერთობ დანაბლი მაჩვენებელია. ყველაზე უხვევლიანი გამოდგა „ეკერენი“ — „ანდერლექტის“ მატჩი — 3:2. სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: „მოლენბეკი“ — „ლოკერენი“ 0:2, „ბერსკოტი“ — „ანტვერპენი“ 1:2, „სტანდარტი“ — „სენტ ტრიუდენი“ 1:1, „ვარეგემი“ — სკ „ბრიუსელი“ 3:1, „მარლურა“ — „ლიეჟი“ 2:0, „ფკ „ბრიუსელი“ — „გენტი“ 0:1, „გენტი“ — „მეხელენი“ 1:2, „ლიერსი“ — „კორტრიკი“ 0:1.

საზრანათი

ამ ტურში მასპინძლებმა ოთხჯერ იმარჯვეს, თუმცა, არც სტუმრები დარჩნენ ვალში — სამი შეხვედრა მათაც მოიგეს, ორი ბრძოლა კი ფრედ დამთავრდა. სულ ტურში 19 ბურთი იქნა გატანილი. „მონაკო“ — „კენი“ 2:0, „ბრუსელა“ — „ლილი“ 1:0, „სენტ ეტიენი“ — „ნანტი“ 1:3, „სოშო“ — „ბორდო“ 1:0, „ტულონი“ — „ნიცა“ 1:2, „ნანსი“ — „ტულუზა“ 1:1, „კანი“ — „მარსელი“ 0:0, „მონპელიე“ — „ოსერის“ 1:2, „სენტ ეტიენი“ — „მეცი“ 2:1.

დაგოჭიდავანი სპორტული გაზეთი

27 თებერვალი, ოთხშაბათი, 1991 წ.

№ 85 (10448) • ზანი 10 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეახსენებ, შეახსენებ!

ყურადღებას ვთხოვთ საქართველოს აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტს

შარშან, 30 მაისს, რუბრიკით „ფიზიკური კულტურა და სპორტი ერის სამსახურში!“ „ლელომ“ გამოაქვეყნა წერილი-შეკითხვა, რომელიც თბილისის იპოდრომის ბედს, საქართველოში მეცხენეობისა და ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების აღდგენის საკითხს ეხებოდა. რამდენიმე პასუხი იმთავითვე მივიღეთ და გამოაქვეყნეთ კიდევ რამდენიმე, ცხადია, ყველაზე მეტად აინტერესებდა საქართველოს აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტს.

ტის ხელმძღვანელების პასუხი, რაც, სამწუხაროდ, ჩვენივე გაუგებარი მიზეზების გამო, არ გავალრსეს. რაკი ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე მდგომარეობა არ შეიცვალა, პირიქით, ძველ მობინადრეებს ახლებიც დაემატა, ცხენ-მხედრებს კი თავისუფლად ვვლარ გაუვლია ავტომანქანებით გადაკედლილ სარბილისკენ მიმავალ გზაზე, იძულებულნი ვართ კვლავ გავიმეოროთ ორი შეკითხვა, რომელიც უშუალოდ საქართველოს

აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტს ეხებოდა.

1. როდის შეწყდება თბილისის იპოდრომის ტერიტორიის დაუნდობელი „ანექსია“ ისეთი ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც მეტწილად საერთო არაფერი აქვთ არაფერ ცხენთან და ცხენოსნობასთან, არამედ, საერთოდ, ფიზიკურ კულტურასთან და სპორტთან. რა ორგანიზაციებია დღეს განლაგებული იპოდრომის ტერიტორიაზე, ვისი ნებართვით და რა საქმიანობას ეწევიან ისინი?

2. როგორ გეგმავენ თბილისის სახელმწიფო იპოდრომის, როგორც თბილისის მოსახლეობის განმრთელობისა და მასობრივი დასვენების ერთ-ერთი კულტურული ცენტრის ხელშეწყობას დღე? იმედია, პასუხს ამჯერად მიიხტ მივიღებთ.

ჰალარაპის აზრები

პაიჩი. ჰალარაპი ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტია, ჩინელი სიუ ჟიუნისა და იუგოსლავიელი ალისა მარჩის მატჩის შემდეგ პარტია კვლავ ჩინელი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა. მას შემდეგ, რაც ანგარიში გახდა 4,5:2,5 სიუ ჟიუნს გამარჯვებულად გამოცხადდა. **ლინარანი.** კენჯისყარამ, რომელიც ესპანეთის ამ ქალაქში მოეწყო გამოავლინა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური წყვილები. აი ისინი: ანატოლი კარპოვი — ვიშვანტან ანანი (ინდოეთი), ბორის გელფანდი — ნაიჯელ შორტი (ინგლისი), ვასილ ივანჩუკი — არტურ იუსუპოვი და იან ტიმანი (პოლანდია) — ვ. კორჩნოი (შვეიცარია).

იონ ცირიპაი

(ფოტოზე პირველ რიგში, მარჯვნივ) არასდროს ყოფილა „დიდი გაქანების“ ჩოგბურთელი, მაგრამ მწვრთნელისა და მენეჯერის ნიჭი აღმოაჩინდა და როგორც კი დაანება თავი აქტიურ სპორტს, ახალ ამბულაში სცადა ბედი. იონ ცირიპაი დღეს ჩოგბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მენეჯერად ითვლება. ამის დასტური გახლავთ მისი „და ბორის ბეკერის პრაივალი წლის თანამშრომლობა, რომელიც დღესაც გრძელდება.“


ეს ფოტოსურათი 1972 წელს თბილისშია გადაღებული, „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე, სადაც რუმინელი სტუმარი საბჭოთა ნაკრების ლიდერს ალექსანდრე მეტრეველს ზედვებოდა დევისის თასის გათამაშების მატჩში. იმ წელს საბჭოთა ტურნირში ვერც საბჭოთა ნაკრებმა მიიღწია რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას და ვერც რუმინეთის გუნდმა (თასი აშშ-ის ჩოგბურთელებმა მოიგეს). მაგრამ ჩვენი საუბრის თემას არ წარმოადგენს ეს ტურნირი. დღეს გვინდა გავისხენოთ 70-იანი წლების (ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო მთელ ჩვენს ჩოგბურთს.

პირველ დიდ გამარჯვებას საკავშირო სარბილეზე მან 1966 წელს მიიღწია, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. იგი ამ ტიტულს ერთეულთა განრიგში თერთმეტჯერ ფლობდა, ამდენჯერვე იყო ჩემპიონი წყვილთა შორის და კიდევ ორჯერ შერეულ წყვილებში. აბა გაისხენეთ თუ ყოფილა ვინმე საბჭოთა კავშირის 24-გზის ჩემპიონი?

საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვების წელს (1966) იგი, ბუნებრივია, ქვეყნის № 1 ჩოგბურთელად დაასახელეს. მეტრეველი პირველი ნომერი ჩოგბურთელი იყო მომდევნო თორმეტი წლის მანძილზე.

ალექსანდრე მეტრეველს ბევრი საერთაშორისო ტურნირი მოუვია, მაგრამ მისი სიძლიერის საზომად, პირველ რიგში, ევროპის ჩემპიონატი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ექვსჯერ აქვს მოგებული ერთეულთა განრიგში, ხუთჯერ — ვაჟთა წყვილებში და ერთხელ — შერეულ ღუეტთა შორის. ქართველმა ჩოგბურთელმა ერთხელ უიმბლდონის ტურნირის ფინალშიც ითამაშა, ეს კი ნებისმიერი ჩოგბურთელის კარიერის გვირგვინად შეიძლება მივიჩნიოთ.

1974 წელს ალექსანდრე მეტრეველს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა რეიტინგში მეცხრე ადგილი მიაკუთებეს. ეს დიდი პატივია ალიარება იყო, თუ გავიხსენებთ მაშინდელი, ათეულის წევრთა გვარებს: 1. ჯ. კოხოსი (აშშ), 2. კ. რიხელი, 3. ჯ. ნიუკომბი (ორივე — ავსტრალია), 4. ბ. ბორგი (შვეიცია), 5. ი. ნესტლე (რუმინეთი), 6. ს. სმიტი (აშშ), 7. რ. ლიევერი (ავსტრალია), 8. მ. ორანტესი (ესპანეთი), 9. ა. მეტრეველი (სსრკ), 10. გ. ვილასი (არგენტინა).



ისა. როზორც

გამითხველი ფიქროვს „ლელოს“ რედაქციას

ქალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს პატარა წერილი. დღები პოლგარების თავხედობამ ყოველგვარ ზღვარს გადააქარბა. სურთ თუ არა თამაში ჩვენი ქალებთან — ეს მათი პირადი საქმეა. მაგრამ, ვინ გამხნდა ისეთი იულით პოლგარი, რომ მ. ჩიბურდანიძეს პირობებს უყენებს? დიას, პოლგარის რეიტინგი მალა-ლია ჩიბურდანიძის რეიტინგზე. დიას, მან შეიძლება კიდევაც მოუგოს ჩიბურდანიძეს, მაგრამ ეს არ აღემატება პოლგარს იმის უფლებას, რომ მსოფლიო ჩემპიონს თავხედურად მოექცეს, ბოლოს და ბოლოს, პოლგარები აბუნად იგდებენ ქართულ საჭადრაკო სკოლას. ამიტომ, მიმაჩნია, რომ მ. ჩიბურდანიძემ პასუხი არ უნდა გასცეს და არ ეთამაშოს პოლგარს. პაქრობაში ლამაზ გამარჯვებას მოწინააღმდეგეს ყოველთვის სიამოვნებით მივულოცავთ, მაგრამ აბუნად აგდებებს არავის ვაპატიებთ!

თევალორა შიშაძე,
ინჟინერი, ქ. სოხუმი.

გუბრუნდებით დაგაგდელს

ალარი გაუწყებდით, რომ საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ უნჯრეთიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც ამ ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციას წინადადებას იძლეოდა. იულიტ პოლგარსა და მ. ჩიბურდანიძეს შორის მატჩის გამართვის თამაზე. აქვე იტყობინებოდნენ იმხანაც, რომ, იუგოსლავიის გავით „პოლიტიკაში“ გამოქვეყნდა საპროზო თანხა — 200 ათასი დოლარი.

გუშინ ჩვენ დაუკავშირდით საქართველოს ჰალარაპის ფედერაციას. თბილისიდან საპასუხოდ ახეთი შინაარსის ტელექსი გაუგზავნათ:

„ოფიციალური შეტყობინება იუგოსლავიის გავით „პოლიტიკიდან“ ჩვენ არ მიგვიღია. თუ ინფორმაცია რეალურია, მსოფლიო პირველობის მატჩისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ჩიბურდანიძემ თანხმობა გამოთქვა, ითამაშოს იულიტ პოლგართან 8 პარტიისაგან შემდგარი მატჩი, წლეულს, ივნისის თვეში.“

საქართველოს ჰალარაპის ფედერაცია

ამ ტელექსზე საქართველოს ჰალარაპის ფედერაციის პასუხი ჯერ არ მიუღია.

ეროვნული გიგანტი

გაბიაშვილი — ნაბრძის ასალი მხარეთმცოდნე



გსოლოდ პნეპატური იარკალით...

080ს გამო, რომ, რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტულმა უწყებებმა კუთვნილი მცირეკალიბრებიანი იარაღი ჩააბარეს მილიციის ორგანოებს, საქართველოს თავისი გათავაშება ტყვიის სროლაში გაიზარდა მხოლოდ პნეპატური იარაღებით 5 სახეობაში.

ბული მხოლოდ ბოლო, მე-10 გასროლის შემდეგ გაიკვია. არმილებმა — ნინო უჩაძემ და ოლეგ სამოილენკომ ერთხანით ქულები (262-252) მოაგროვეს, მაგრამ, ვინაიდან ფინალურ სერიაში ნ. უჩაძემ (მწვრთნელი — გვი ბოსტოლანაშვილი) უკეთ ისროლა, ჩემპიონის ტიტულიც მან მოიპოვა. მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა დინამოელი მარიკა ბიბილური.

სანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი მ. ბოსტოლანაშვილი (მწვრთნელი — თათარ კვირიკაშვილი) ერთხელ უკვე ფლობდა ამ საბატო ეროლდს. ამ სახეობაში მეორე იყო დიმიტრი გვერდიაშვილი („დინამო“), მესამე — ზურაბ თოთიაური („შეგარდენი“).

პნეპატური შაშხანი შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვლადიმერ სამოილენკომ (მწვრთნელი — ვლადიმერ სკრინიკოვი, ასე), მეორე-მესამე ადგილებზე გვიდნენ არტემ ჩაოევი და ოლეგ ოგოლენკო (ორივე — „შეგარდენი“).

საპარტევლო ჩემპიონატი

საპარტევლო რაფი

დაგატეხილა

ორთაგბოლა


გაღანეშობა

საპარტევლო ჩემპიონატის პირველი ეტაპი საერთაშორისო შაშხი, სადაც 16 უძლიერესი მოწვეული მონაწილეობდა, მეტად დაძაბულად წარიმართა. უშედეგო ბრძოლების შემდეგ 13,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა მადონა შალაშვილმა. მას ჩახევარი ქულით ჩამორჩნენ ლია ყაზარაშვილი და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი დიანა ავალია, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით II ადგილი ლ. ყაზარაშვილს მიეკუთვნა. 12,5 ქულით მეოთხეა ნატო ავლაძე, მეხუთე — ირმა ბეკაშვილი (10,5 ქული).

ინფორმაცია

საპარტევლო დამთავრდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ქიდაობაში ახალგაზრდებს (1971-1972 წლებში დაბადებულნი) შორის. გავაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: 48 კგ. ზურაბ ლონიაშვილი (ყვარელი), 52 კგ. ბადრი ქარდავა (აფხაზეთი), 57 კგ. კობა ნადირაძე (ქუთაისი), 62 კგ. გელა ფოჩხუა, 68 კგ. ჯამბულ სანაკოშვილი, 74 კგ. აკაკი მახუაშვილი, 82 კგ. ვლადიმერ შათირიშვილი, 90 კგ. კახა ჯაბიძე (ყველა — თბილისი), 100 კგ. თამაზ კონკოშვილი (რუსთავი), მესამე — გელა უბილავა (აფხაზეთი).

ხველახარი გავზომიდან იწყება



გაინს იხეღიანად

თბილისის პროფკავშირების მძლეოსნობის მანქანაში გამართულ 1976-77 წლებში დაბადებულ საქართველოს მოსწავლეობის რესპუბლიკურ ზამთრის და პირად-გუნდურ პირველობაზე სასპარტევლო და „შეგარდენი“ სპორტსმენებიც მძლეოსნობას, მოგესხენებათ, ჩვენში მეტი ყურადღება ესაქიროება, ამ შეჯიბრებაზე კი ზუგდიდის, თელავის, ვანის, აბაშისა და ხარაგაულის გუნდები საერთოდ არ გამოცხადებულან.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაჯილდოვებულნი საქართველოს ნაკრებ გუნდს, რომელიც საკავშირო პირველობაზე იასპარეზებს. ვფიქრობ, ექვსეულში უნდა მოხვდეთ, — თქვე შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა და საქართველოს ნაკრებ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა უ. ყ. საბანაშვილმა.

გსოლოდ გავზომიდან

600 მ. პაატა კუნჭულია 1.30,6, მარგო მესხი 1.47,3. 1500 მ. როინ მარტინოვი 4.45,5, 60 მ. თარგბენი: ზაზა გოგილაშვილი 9,6, ტანია კოშკინა 10,2; 60 მ. ლევან ხაჩატურიანი 7,4, ლეოლა საფაროვა 8,0; ბორთვი: ირაკლი ყაზაიშვილი 13,8; ევა ჯალაღონია 9,36; საბჭოთა: ქაბულა ზარიაშვილი 12,10, სპ. სიარული 3 კმ-ზე: ვია შუბითიძე 15,21,5, თეა ყარყარაშვილი 15,21,8; 300 მ. პაატა კუნჭულია 39,9, ნატაშა ნოვიკოვა 44,3; 1000 მ. დავით სამხარაძე 2,51,3, მარგო მესხი 3,21,9; სიარულიზე ხტომა: კონსტანტინე ნიგოლაძე 5,45, ნარგოზა ნემსაძე 5,06; შუბი: დათო ქურდაძე 46,44, ია სულგინია 26,48; ბადრო: ალექსანდრე მალაქაიძე 37,0, ია-სულგინია 22,0; ურო: ვანტანგ ახოშვილი 39,66 სმ. გუნდური პირველობა: 1. ჯგუფი: 1. თბილისი — 299 ქული; 2. აფხაზეთი — 108,5; 3. გარდაბანი — 105. II ჯგუფი. 1. ოზურგეთი — 92 ქული; 2. ქარელი — 81; 3. სამტრედია — 72. III ჯგუფი. 1. ხონი — 93 ქული; 2. დღუშეთი — 64; 3. საგარეჯო — 44.

სხიი ლიღები გრდრეკულად

სტუმრებმა აშკარად დაჯანსაღეს ქუთაისელი სტუმრები: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა მოულოდნელად მოიპოვა ანგარიშით 53:24. მერე მათ (ფიზკულტურის ინსტიტუტის ნელბურთელებმა) აჯობეს — 36:22.

ინფორმაციის საკავშირო საშუალებებმა, კერძოდ, საკდესმა, არც ამჯერად მოგვაწოდა ამომწურავი ინფორმაცია და სოფიაში გამართულ კლასიკური სტილის მოქიდავითა სავარაუდოდ ტურნირის შესახებ საკმაოდ ძუნწი ცნობა გვაქვია. სხვებთან ერთად „გაბიაშვილი“ უმჩატესი წონის თბილისელმა გელა პაპაშვილმა, ხოლო ქუთაისელმა თენგიზ თედორაძემ მეორე საპარტევლო ადგილი დაიკავა — იუწყებოდა სააგენტო.

სამწუხაროდ, არც ახლა, შეჯიბრების დამთავრებულან ერთი კვირის თავზე, გვექვს დაწვრილებითი ცნობები სოფიის ჩალოხაზე გამართული ორთაბრძოლების შესახებ, რადგან ტურნირის დამთავრების შემდეგ გ. პაპაშვილი და თ. თედორაძე მინ ჩამოუსვლელად გაიწვიეს საკავშირო ნაკრებში და ამჟამად ისინი სხვა ოფიციალური ასპარეზობისთვის, კერძოდ, ევროპის ჩემპიონატისთვის, ემზადებიან. გ. პაპაშვილს ერთ-ერთი მისი მწვრთნელი თათარ კვირიკაშვილი ტელეფონით ესაუბრა და ზოგი რამ გამოკითხა სოფიის ტურნირზე. აი, რა გვითხრა რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. ტატიშვილმა:

„ევიდრე უშუალოდ პეტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ასპარეზობაში ქართველ მოქიდავთა გამოსვლაზე ვიტყვოდე, პატარა ექსკურსი უნდა შემოგთავაზოთ. საქმე ის არის, რომ კლასიკური სტილის მოქიდავთა ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობაში ცვლილება მოხდა, გეხადი საშუნოვის ნაცვლად, რომელიც ახლა თურქეთის მოქიდავებს ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისთვის ამზადებს, საკავშირო ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ცნობილი მოსკოველი მოქიდავე მისხილ მამიაშვილი. მას „ლელოს“ მკითხველებისთვის წარდგენა არ სჭირდება. პოდა, ახალმა მწვრთნელმა გუნდის გადარსება განიზრახა. ამ მიზნით, გადამწყვიტა მან ისეთ სერიოზულ, უმაღლესი კატეგორიის ასპარეზობაზე, როგორც სოფიის ტურნირია, 48 კგ წონით კატეგორიაში, გელა პაპაშვილი გამოეცადა. სხვათა შორის, მან ამის წინააღმდეგობის ტურნირზე ქვეყნის ნაკრების ნომერ პირველ მოქიდავესთან, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონ და მსოფლიო პირველობის პრიზორ ს. სუვოროვთან დათბო პირველობა. მიუხედავად ამისა, მამიაშვილს თვალს მისც ქართველ მოქიდავეზე უკეთესი და მან გამართა მწვრთნელის იმედს. გელას თავიდანვე მძიმე ბრძოლები გადარდა — ჯერ მის პირისპირ დადგა მასპინძელი მეტოქე. გელამ კი ორთაბრძოლა მოიგო. შემდეგ ზედისედეგ დაამარცხა სამხრეთ კორეის, გერმანიის, ფინეთის წარმომადგენლები და ფინალში კვლავ ბულგარელ მოქიდავეს შეგრიკინა (მასპინძელი ტურნირზე 3 შემადგენლობით წარდგენენ). ქართველმა მოქიდავემ ეს შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დამთავრა და ტურნირის საუარესის წოდება დაიმსახურა. ასევე წარმატებით იბრძოდა ფინალში ქვემძიმე წონის ქუთაისელი თენგიზ თედორაძეც, მაგრამ მასაც გადამწყვიტა შეხვედრაში მასპინძელი მეტოქე ჰაყვდა და ჩვენს მოქიდავე მხოლოდ მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ახლა ორივე ქართველი მოქიდავე თანამემამულეებთან — გოგი კოლოშვილთან (90 კგ), ზაურ ივანაშვილთან (100) და კობა გულიაშვილთან (62) ერთად ალუმბოში ემზადება ევროპის პირველობისთვის.“

ჩაიწერა მ. უნიაძემ.

„სხუმი“: სიასლავი და სურვილები



ფეხბურთის გულშემატკივართ კარგად ასსოვებულია პირველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე, როგორც აქტიური გამოიწვია სოხუმის „დინამოს“ განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ეს გუნდი აგრძელებს თამაშს საკავშირო ჩემპიონატის I ლიგაში. რამდენიმე პატრიოტმა ფეხბურთელმა მისთვის უარი განაცხადა „მამულა“ გუნდში თამაშზე და I ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მათ ბაზაზე შეიქმნა ახალი ფეხბურთი კლუბი „ცხუმი“, რომელიც შედის ერთობ მცირე დროში თამაშის საკუთარი მფლობელის მიერ და დაიწყო თამაში სიყვარულით დაიქვეყნებინა.

შარშან, 18 ნოემბერს, თბილისის ეროვნულ სტადიონზე მისულ მაყურებელს არ შეიძლება დაეცინოდეს საქართველოს თასის ფინალური მატჩი „ცხუმი“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. გუნდში, რომელიც ჯერ ერთი წლისაც არ იყო, მოხილულა გულშემატკივარი, ტოლი არ დავიდა ძლიერ, ბრძოლვით გამოცდილ „გურიას“ და მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. მეშვიდე ად-

გილი ეროვნულ ჩემპიონატში, თასის ფინალისტობა, გზადაგზა ძლიერ მეტოქეთა დამარცხება — ფეხბურთის ურიტო შედეგი არ უნდა იყოს.

ახლა სოხუმის „ცხუმი“ მომავალი ჩემპიონატისთვის ემზადება და, ბუნებრივია, გულშემატკივარს აინტერესებს გუნდში მომხდარი ცვლილებები და სიახლეები. ამ მიზნით ეწვია ჩვენი კორესპონდენტი კლუბის პრეზიდენტი გურამ გაბეცკირიას.

● ბატონო გურამ, როგორ ემზადება გუნდი ახალი საფეხბურთო სეზონისთვის?

— მზადება 5 იანვარს დაიწყო, უკან დარჩა საწვრთნელი პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი. დასაწყისში ძირითადი ფიზიკური მომზადებასა და კოლექტივის დაკომპლექტებაზე ვამახვილებდით ყურადღებას, შემდეგ უკვე რამდენიმე საკონტროლო მატჩში ჩაებატრეთ სპარინგ-პარტნიორებთან.

● შეგიძლიათ გულშემატკივარს აცნობოთ გუნდში მომხდარი ცვლილებების შესახებ?

— რა თქმა უნდა. თავდაპირველად ოცდაათამდე ფეხბურთელმა მოიყარა თავი, საბოლოოდ კი ოც-

დაერთი მოთამაშე დავტოვეთ. გავრის „სინარულიდან“ ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები: გიორგი გოგიაშვილი, ზურაბ მინდიაძე და ასტამურ სიჭინავა მივიწვიეთ. გავრის საფეხბურთო-სკოლის აღზრდილია აგრეთვე ვია ჭოხონელიძე, რომელიც შარშან კრასნოდარის „სუბანში“ გამოდიოდა, წელს კი „ცხუმის“ დირიჟებას დაიცავს. გვყავს ახალი მეკარეც — გელა კობალიანი, რომელიც ტყვეარჩელის „ლაშქინდარიდან“ ვამოვივლია, ხოლო „კოლხეთიდან“ დავიბრუნედა სოხუმელი ვიოზ ჯეგლევა. სასიამოვნოა, რომ ისეთი გამოცდილი ისტატი, როგორც გრიგოლ ცაავა, დასთანხმდა ჩვენს თხოვნას და ამიერიდან „ცხუმის“ შემადგენლობაში ითამაშებს. მან უკვე რამდენიმე საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა და, ფეხბურთით, ცაავა-გოგიაშვილი-ჯიშკარიანის „ტრიო“ მეტოქეებს ბევრ საფეხბურთს გაუჩინა.

● გულშემატკივართ აღელვებთ გუნდის მწვრთნელის, ბატონ ვიგა ნორაკიძის განმარტობის მდგომარეობა, რის გამოც, იგი თითქმის და-

თავს ანებებდა „ცხუმთან“ მუშაობას.

— ბატონი ვიგა მართლაც ავიდა იყო და მკურნალობდა კიდევ, მაგრამ მან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი. მისი გუნდიდან წასვლა ჩვენც ძლიერ გვაფიქრებს. შარშან „ცხუმმა“ რომ კარგად ითამაშა, ეს ხომ სწორედ მისი დამსახურებაა. მისი გამოცდილება დღეს ყველაზე მეტად გვეჭირდება. ენეც არ იყოს, ფეხბურთელებს უყვართ და პატივს სცემენ ამ მრავალწლიან მწვრთნელს, ეს კი ყველა გამარჯვების უპირველესი საწინდარია.

● ცვლილებების მიხედვით თუ ვიმჩვენებთ, კოლექტივი გააძლიერებულია. ბატონ ვიგას ცოდნა და გამოცდილება ბევრ ხახვივით გვექადაბს. ალბათ, მომავალ სეზონში უკეთეს შედეგებზე იფიქრებთ?

— სულთი და გულთი გვიდა ჩემპიონობა. ამ გულწრფელობით ემზადება მთელი გუნდი, განწყობილება კი, მოგვსენებთ, ბევრს ნიშნავს.

● ბატონო გურამ, ალბათ, გარკვეულ პრიორიტეტებზე იქნება კლუბის წინაშე. მისი მოგვარება კი, თქვენ, როგორც პრეზიდენტი, გვაღივებთ...

— პირველი ძირითადი პრიორიტეტი ის არის, რომ გუნდს არა აქვს თავისი საწვრთნელი ბაზა. არა გვაქვს საკუთარი სტადიონიც, ქალაქის მთავარ სტადიონზე სოხუმის ორივე გუნდი — „დინამო“ და „ცხუმი“

თამაშობს. შეგიძლიათ გავაგრძელოთ სისტემატკივარების შექმნა, რომელიც უკვე ათ წლებზე მტკიცე აღარავის უთამაშია. იგი ჯერჯერობით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ბალანსზე იმყოფება და, თუ ეს უმთავრესი საკითხი დადგინდებოდა, ჩვენს სასარგებლოდ, ვადაცვრება, მერე არა გვიჭირს რა, თუმცა, ეს არ მიემართეთ ამის შესახებ თხოვნით, მაგრამ ჩვენი ხმა დღემდე რჩება „ხმალი მლაღადებლისად...“ ვიმელოვნებთ, რომ რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა გამოიჩინოს გულისხმიერებას და დაგვემარება ამ პრიორიტეტის მოგვარებაში. მთავარია, სტადიონი ვადაგვეცეს. ჩვენ შევავითებთ, ვიზრუნებთ მის კეთილმოწყობაზე. მით უმეტეს, სპონსორები, რომლებიც ამ საქმეში დაგვეხმარებიან, მრავლად არიან. სტადიონი კი, ალბათ, გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სოხუმელი ბასა ლოდონიძის სახელობისა იქნება. საკუთარი სტადიონი ხომ ასე აუცილებელია პროფესიული კლუბისათვის, რომელიც ქართული ფეხბურთის ტრადიციებს აგრძელებს და ლამაზ, შემეცვე ფეხბურთს აჩვენებს გულშემატკივარს.

ესაუბრა **თენგიზ პაპაძორი**.

მსოფლიოს ფეხბურთის აგვები

„კალრი მერაბათი“ — ახალი სახელწივი და... ფასები

იტალიის საფეხბურთო ლიგა, რომელიც სამართლიანად ითვლება მსოფლიოში უძლიერესად, როგორც ჩანს, მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს და ცდილობს ახალ-ახალი უცხოელი ვარსკვლავებით შეავსოს თავისი რიგები. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც, როგორც ერთ-ერთი იტალიური გაზეთი აღნიშნავს, ჯერ არ ჰქონიათ ბენეფიკრება, გამოჩენილი თავი მსოფლიოს უმთავრეს „საფეხბურთო სცენაზე“.

ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, იტალიურ პრესაში კი უკვე რეკლამარულად ქვეყნდება საფეხბურთო ბაზრის, ე. წ. კალრი მერაბათის მონაცემები. ეს არის ამ ფეხბურთელთა სახელები და ღირებულება, რომლებმაც შესაძლებელია კონტრაქტები გააფორმონ იტალიურ კლუბებთან ახალი სეზონისთვის ან ახლო მომავალში.

„ტოტენჰემ ჰოსპიტალი“ — 5 მილიონი ლირა და ა. შ.

იტალიელი მიომბილივლები აღნიშნავენ, რომ ყველაზე ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული გერმანელი ფეხბურთელების შექმნა, რადგანაც ამ ქვეყნიდან ყოველთვის სიმძიმე, მაღალი კლასის მოთამაშეები მოდიან. აღსანიშნავია აგრეთვე დიდი მითითებები იუგოსლავიელ ოსტატებზე. ამ ქვეყანაში ამჟამად უამრავი ახალგაზრდა ტალანტი და მათზე ნამდვილი ნადირობა აქვთ გამართული ცნობილ კლუბებს.

წინა წლებთან შედარებით ნაკლებად გვევლინებიან ფეხბურთელები სამხრეთ ამერიკიდან და, თუ არიან, მათი ფასი საგრძობად ჩამოუვარდება ევროპელი ფეხბურთელებისას: ბრაზილიელები — ბაიანო, ადილსონი, დონიციტე და კაიუ — 3,5 მილიონი და არგენტინელი ბოლდრინი — 3 მილიონი.

აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთ ფეხბურთელზე ერთდროულად რამდენიმე კლუბი აცხადებს პრეტენზიას და ამან მათი ფასი საგრძობად შეიძლება გაზარდოს.

ბონინო სერაფო ახალ აგვლუში

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ბონინო სერაფო, რომელიც ამჟამად იტალიის „სამპდორიაში“ გამოდის, მძიმე ოპერაციის შემდეგ, რამდენიმე თვეა მწყობრიდანაა გამოსული. ამ პერიოდში იგი გუნდის მწვრთნელის ბოშკოვის მრჩეველად იქცა და, ისე გამოიჩინა ამ მხრივ თავი, რომ „სამპდორიას“ ხელმძღვანელობა სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ კლუბის მწვრთნელს შეიძლება ღირსეული შემოსავალი მიუღწევს სერაფოს სახით. სხვა აზრისაა „სამპდორიას“ კაპიტანი რობერტო მანჩინი.

— რვა წელია, იგი იტალიაშია და ენა ჯერ კიდევ ვერ შეისწავლა. მწვრთნელად უშუაობისას ენობრივი ბარიერი, ალბათ, მისთვის გადაულახავი პრობლემა იქნება.

მონტეპელოს ინიციატივი

მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი — ტურინის „იუვენტუსი“ მიმდინარე ჩემპიონატში გამარჯვების შემთხვევაში 6 მილიონ ლირას შეამატებს თავის ხაზინას. სწორედ ამ თანხად არის კლუბი დაზღვეული ლონდონის ცნობილი სადაზღვევო კომპანია „ლიოდ“-ში მისი ვიცე-პრეზიდენტის ლუკა დე მონტეპელოს ინიციატივით.

იტალიური პრესის მახალბების მიხედვით მოამზადა მანი პარაძე.

ახლახან დიდი ბრიტანეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ბრაიან რობსონი ისევ სადავანდოლოში ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელს სულ ცოტა ხნის წინათ გაუკეთეს კიდევ ერთი ოპერაცია.

ეს აღმანი რაოდენი წააგავს მუდამ შესაკეთებლად გაჩერებულ მდიდრულ ავტომობილს. მისი ისტორია გაფრთხილება იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ტრავმებს. ასეთები კი, შესაძლოა, შუაბნის ასაკში ხეიბებში გახდნენ, თუკი თავს არ დაანებებენ ტრავმატარებულ საშუალებების მიღებას და თამაშს გააგრძელებენ ტრავმის მიღების შემდეგ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღრიზნულთან შედარებით, ამჟამად არც ისე ცუდად არის საქმე. დღეს არცერთი პროფესიონალი სერიოზული ტრავმით აღარ ვააგრძელებს თამაშს, როგორც ეს წინათ... 1965 წელს, მაგალითად, ინგლისის თასის ფინალურ მატჩში „მანჩესტერ სიტის“ მეკარე ბერტ ტროტმანმა კისრის სერიოზული ტრავმის მიუხედავად, მაინც ვააგრძელა თამაში. ერთხელ, რომელიც მოთამაშეს თავზე ბურთის „ნაცვლად“ ერთ-ერთი მეტოქე დაეცა და მას ყბა დაუშხხვრია. აუტანელი ტკივილის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობამ იგი თამაშის ბოლომდე დატოვა მინდორზე. ექიმ ფრე სტრიტის თქმით, მატჩების უმეტესობის შემდეგ, სულ ცოტა, ორი მოთამაშე მსუბუქდა და შავივარდული.

რომსოსისხაიო მაღალი კლასის მოთამაშეებზე, ჩვეულებრივ, ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ბრიტანეთის ფეხბურთის მამები, რათა ტრავმის მიღების შემდეგ მათ გააგრძელონ თამაში. მაგალითად, ის იყო საფეხბურთო ლიგამ გვარაინად დაძაბული სეზონი დაასრულა, რომ საუკეთესო მოთამაშეები იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში ჩაებნენ. ამ დროს მარკ რაიტს ბარბაყის მყესი ჰქონდა დაზიებული, დღეს უკვე ის იდაყვი ჰქონდა დაზიებული, ხოლო ლინეკერს ფეხის თითი აწუხებდა. ყველა დასვენება სჭირდებოდა, მაგრამ ეს ხომ უმაღლესი რანგის შეჯიბრება იყო და ნაკრების ხელმძღვანელობამ თამაშისა და მკურნალობის „შეთავსება“ მოითხოვა.

ლივის კლუბებში სხვა ხასიათის ზეგავლენასაც მიმართავენ. ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პერიოდული შემცირებების გამო კლუბებმა ძირითადი შემადგენლობების მოთამაშეთა რაოდენობა თექვსმეტამდე შეამცირეს. ამავდროულად, შემოსავლის გაზრდის თვალსაზრისით, მომბატა თამაშების რაოდენობამ (ზოგიერთი გუნდი სამოცდაათამდე შეხვედრას ატარებს).

გამიზნებელი ტრავმების საუკეთესო მკურნალი დროა, მაგრამ მკურნალობის ამ „მეთოდს“ ყველაზე ნაკლებად მიმართავენ.

ზოგიერთს მიანიჩა, რომ დაშავებულ ფეხბურთელების იძულება, გააგრძელონ თამაში, ძალზე ხშირია. „ლივერპულის“ ყოფილი მენეჯერი ბილ შეჩკლი თავს არიდებდა ტრავმირებულ მოთამაშებთან სიუბაას. — სანამ მენეჯერები და ექიმები გარეთ გამოჩნდნენ, გატყუებული და-სასხლის ნაკადს არ დაინახავდნენ, მანამდე თვლიდნენ, რომ

ტრავმა ფეხბურთელის შიშისა და წარმოსავის ნაყოფია — ამბობს ფეხბურთელთა პროფკავშირის თავმჯდომარე გორდონ ტილორი.

როცა დენის ლოუ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გამოდიოდა, ტრავმის მიღების შემდეგ თამაშის შეწყვეტისა თუ გაგრძელების გადაწყვეტილებას თვით მოთამაშე იღებდა, მაგრამ არსებობდა მოთამაშეზე ზემოქმედების დახვეწილი და შეფარული ხერხები. — ვერაობდნენ, რომ მოედნიდან გასვლის შემთხვევაში ნიშნულს ამომოხდენენ, ამიტომ ისევ თამაშს ვაგრძელებდა ჯობდა. შეიძლება თამაში იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილიყო, რომ ხელმძღვანელობა თვითონ შეგვეწვროდა მოედანზე

საშიშ პრავმებსაც არად დაგიშვებ

დარჩენას, მერე თუნდაც ამის გამო ორი კვირით გამოსულიყავი მწყობრიდან — იგონებს ლოუ.

ამას ვარდა, მოთამაშეებს ეშინიათ კლუბის ძირითად შემადგენლობაში აღდგენის დაკარგვისა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის შესაძლებლობის ხელიდან გაშვებისა. ამიტომაც, იყო, რომ დენის ლოუ ერთხელ იმაშიც კი დაარწმუნეს, რომ მუხლის ტკივილი თვითმთავონების შედეგი იყო; არადა, ტრავმა მას გამუდმებით აწუხებდა და სწორედ ეს გახდა მისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერის დასასრულის მიზეზი.

დენისმა პირველად თვრამეტი წლის ასაკში, მუხლის მყესის გაწყვეტისა და ხტრლის დაზიანების შემდეგად მიიღო ტრავმა. ასეთ შემთხვევაში იმ დროისათვის მიღებული სამკურნალო მეთოდით ხტრლის ამოჭრა ხდებოდა. ექიმები ასეც მოიქცნენ, მაგრამ ლოუს ტკივილი არა და არ დაუშადა. კლუბის ხელმძღვანელები და ბევრი სხვაც მარწმუნებდნენ, რომ ხტრლის ამოჭრის შემდეგ მუხლში ისეთი აღარაფერი დარჩა, რაც ტრავმის მიზეზი იქნებოდა და რაზედაც თვით მთავონების გამო ვწუწუნებდნენ. მეც ექვი შემეპარა და თამაში ვააგრძელებდი — ისინებებს დენის. შემდეგ ლოუ იხვე იტკინა მუხლი. მერე ოპერაციის დროს აღმოაჩინეს, რომ მუხლში დარჩენილიყო ხტრლის ნაწილი. ეს საშინელება იყო — ამბობს ლოუ — ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო. მაგრამ იმ დროს სპორტული ტრავმების განმკურნებელი სპეციალისტები თითქმის იყვნენ ჩამოსათვლელი.

ტრავმებთან თამაში შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს — ორმოცდაათი წლის ლოუს მარჯვენა მუხლის ოსტეოარტრიტი აქვს ჩამოყალიბებული, რამაც, შესაძლოა, დააკოქლის კიდევ იგი. — ცნობრების თავიდან დაწყების საშუალება რომ მომეცეს, არასოდეს ვააგრძელებდი თამაშს ტრავმის მიღების შემდეგ — სინანულით დასძენს ფეხბურთელი.

ზნირად მოთამაშეები თავად ხდებიან საკუთარი ჯანმრთელობის დაუძინებელი მტრები. ბევრი დუფიქტულია ეტანება ტრავმატარებულ საშუალებებს, ისე, რომ თვ-

ნავადაც არ ანადვლებს, რა მოჰყვება ამას.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე თითქმის ყველა მატჩის წინ გარიღნიერები ფეხის დაზიებული თითქმის ყვერში გამუდმებით უკეთებინენ ტკივილგამაყუჩებელ ინექციას. სტრითი ამტკიცებს, რომ ფეხის ამ ნაწილისათვის ტკივილგამაყუჩებელი ინექცია გამართლებულია, მაგრამ „ფექრადიც არ ვაგვივლებდი ასეთ ინექციის გამოყენებას მუხლქვეშა მყესში ანდა მორბაუნაწილიან კუნთში“ — დასძენს იგი.

საფეხბურთო ტრავმების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში თავისი იერაქლია არსებობს: კლუბის ექიმი, კლუბის სპეციალისტი, სპეცია-

ლისტი პარლისტრიტიდან (სახელმძღვანელო ექიმებით დასახლებული ლონდონის ქუჩა), სარეაბილიტაციო სტაციონარი ლილსპოლში — თუმცა, ზუსტი დიაგნოზის დასმის ვარაუდობა არავინ იძლევა.

ინგლისის ნაკრებისა და „ვევერტონის“ ყოფილია ცენტრალურმა თავდამსხმელმა პოლ ბრესიუელმა 1986 წლის 1 იანვარს მიიღო ტრავმა: ლი თვის მანძილზე ექვსი თვეა გაუკეთეს, მაგრამ ტრავმის მიზეზს ვერ ჩახვდნენ. ბოლოს ერთი კალიფორნიელი სპეციალისტმა შენიშნა ის, რაც ბევრს გამოეპარა — ძვლი იყო გადაადგილებული.

ასე რომ, არაერთი ფეხბურთელის კარიერა დასრულდა ნადრეგად, მცდეტი დიაგნოსტიკისა და არაოპორტიუნტურების გამო — ამბობს ტილორი. მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ფეხბურთელების პროფკავშირის ახლა ყოველწლიურად 150 ათასი გირვანქა სტერლინგი შეაქვს ფეხბურთელთა ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევის ფონდში. მისი დაზარალები შეიქმნა სპორტული ტრავმატოლოგიის ლიენსპოლის ცენტრი, რომელიც ინტენსიურ სტაციონარულ მკურნალობას უზრუნველყოფს.

„მიუხედავად იმისა, რომ თამაში უფრო სწრაფი და დინამიური გახდა, ვაიზარა შეჯახებათა სიხშირე, კლუბების მოთამაშეთა რაოდენობა თუ შემცირდა, ტრავმის გამო ფეხბურთიდან წასვლის სპორტსმენების რიცხვი არ გაზარდოდა — ამბობს ტილორი — ჩვენს ლიგაში ორი ათასი პროფესიონალია, შემოსხენებული კარგეორის სპორტსმენთა რიცხვი კი მხოლოდ მათ ორმოცდაათია. ეს კი იმან გამოიწვია, რომ დიდი ყურადღება დაეთმო პროფესიონალთა, მკურნალობას და დიაგნოსტიკას.“

ზეგავლენა მოთამაშეებზე იმ მიზნით, რომ ტრავმის მიღების შემდეგ ვააგრძელონ თამაში, კვლავაც საფრთხილია. აქილევსის მყესის „განსაკურნებლად“ და მსოფლიო ჩემპიონატის რაც შეიძლება მეტ მაშინში მონაწილეობის მისაღებად, ბრაიან რობსონმა იტალიაში ზეგუნებრივი თვისებების მქონე ექიმბაშებიც კი ჩაიყვანა.

თამაშა გელა ჯიღაძრა.

ბრადივანი, ბრადივანი...



მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატების ირინე გაბაშვილის, ნელი ხალაძის, ირინა უფილუინას, ლალი დოლიძის, ირმა ყიფშიძის, ელისო ბედოშვილის სახელები კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. მრავალ საბრძოლველ მოუპოვებიათ მათ გამარჯვება, მაყურებელთა მოწონება და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაუმსახურებიათ.

მათგან უველაზე გამოცდილი ნელი ხალაძე დღეს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელია. მისი მოწაფეები ახლა სხვადასხვა საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის ემზადებიან.

სურათზე: ნელი ხალაძე შეჯიბრებთან; სპორტის ოსტატი იზა მთავრიშვილი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ელისო ბედოშვილი.

ვანო შამანაძის ფოტოები. („საქინფორმი“, ხაგანგებოდ „ლელოსათვის“).



ჩინგვა, ყავაწილაკო!

ბჰარში გამართულ „შრომითი რეზერვებისა“ და განათლების სამინისტროსთან არსებული კრივის სპორტსკოლების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 1975-76 წლებში დაბადებული უძლიერესი მოკრივეები.

36-ე გუნდი წარმოდგენილი იყო ხუთ-ხუთი მოკრივეთა (სულ 180 მონაწილე). მათგან საკავშირო ჩემპიონატში (ჩატარდება 23-30 მარტს, ტაშკენტში). გამოვა პირველი ხუთი გუნდი, ეს უფლება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა. იგი აქ დაკავებული მესამე ადგილის წყალობით გამოვა ტაშკენტის რიხზე. პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის მოკრი-

ვეები საპრიზო ადგილებზე გაიყვანნენ. ჩემპიონის წოდება დაიმსახურა თბილისელმა ლერი შანავამ (74 კგ, მწვრთნელი დ. შიუკაშვილი, თ. კუკუაძე); მეორე ადგილზეა თეთრიწყაროელი ბესიკ ვარძელაშვილი (44, მ. ვარძელაშვილი, ფ. ალექსანდროვი), ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გორელმა ილია ტლაშაძემ (63, ა. შოშიაშვილი).

გუნდი მოამზადეს დ. შიუკაშვილმა და მ. ამირიანმა.

სურათზე: საკავშირო პირველობის პრიზიორები ლ. შანავა, ბ. ვარძელაშვილი, ი. ტლაშაძე.

ალექსანდრე კობორაშვილის ფოტო.



ის ურჩევნია მამაულსა...

ნ:4, დაამარცხა საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელი, 183-ე სკოლის მეტ-სტრეკსელი დათო გოგილაშვილი. დათოც ცნობილ სპორტსმენთა ოჯახიდანაა: დედა — რენა აბქანდაძე თავის დროზე ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი იყო ქვეყანაში, ხოლო მამა — ქანი გოგილაშვილი — რესპუბლიკაში. ამავე შეჯიბრებაში საუკეთესოდ გამოვიდა ირინე ბახტაძე (58-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე), რომელმაც ფინალში სძლია (6:3, 6:4) ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელს ლიკა ქელებსიას (145-ე სკოლა, მე-9 კლასი).

განვიღო შეჯიბრებაში, რომელშიც 64 ჩოგბურთელი გამოდიოდა, არ მონაწილეობდნენ საუკეთესონი — მაკა წიწყაშვილი, ნინო ლუარსაბიშვილი, იოსებ სიამაშვილი და ლევან ველაშვილი. ერთნი საერთაშორისო ტურნირებზე არიან, მეორენი — საკავშირო შეჯიბრებზე. ახლა ჩვენს ჩოგბურთელებს ახალი შეჯიბრება ელით — საქართველოს ზამთრის დია პირადი პირველობა 1975-1979 წლების მოსწავლეთა შორის მოსკოვში, ლენინგრადულ, თბილისელ, ქუთაისელ, ბათუმელ ჩოგბურთელთა მონაწილეობით.

შემტორ გუპია

თბილისის 101-ე სკოლაში რომ კარგი მოფარაკავეები სწავლობდნენ, ამის შესახებ „ლელოში“ ბევრჯერ დაწერილა. მაგრამ, თუ აქ ასეთი ჩოგბურთელი ჰყავდათ... დიას, გურამ კოსტავა სწორედ ამ სკოლაში სწავლობდა, მე-10 კლასში. მას ჯერ დიდი სპორტული ბიოგრაფია არ აქვს. აი, მამამისს კი — მსოფლიო ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ფარიკაშაში. გურამ კოსტავას, და დედამისს — ახლო წარსულში საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ლამარა მგალობლიშვილს, მართლაც რომ მთელი ქვეყანა იცნობს. ის ურჩევნია მამულსაო, ხომ გავიგონებთ, და უმეტროსმა კოსტავამ ორიოდე დღის წინ თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა 1975-1978 წლებში დაბადებულ კაბუტაშ შორის. ფინალში მან ანგარიშით 6:1, 6:7,

Table with 5 columns: Event Name, Date, and four columns of scores. Includes events like 'სპორტბროგნოზი' and 'იტალიის ჩემპიონატი'.

ინფორმაცია

კალათბურთი. გათავაზობთ კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩების შედეგებს, რომლებიც 25 თებერვალს გაიმართა: ასე (აღმა-ათა) — „კალევი“ (ტალინი) 103:97 (52:52), „უსსტროი მეხანიზაცია“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 98:105 (45:53), „სტროიტელი“ (სამარა) — „ბუდიველნიკი“ (კიევი) 76:86.

ხელბურთი. ასტრახანის „დინამო“ ევროპის ქვაყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში დაამარცხა შვეიციის საკმაოდ ძლიერი კლუბი „დროტა“ და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ბრძოლას ასტრახანელ ხელბურთელებთან ერთად განაგრძობენ თურქეთის „ეკსიშეპირი“, იუგოსლავიის „პროლეტერი“ და ესპანეთის „ბარსელონა“.

ვიცხვარფინი. ესტონეთის ქალაქ კაბლიში, რომელიც პიარნუს მეზობლად მდებარეობს ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ზამთრის ვინდსერფინგში. ასპარეზობაში მონაწილეობდა აშშ-ს, კანადის, გერმანიის, შვეიცარიის, შვეიცის, ფინეთისა და სსრკ-ის 61 სპორტსმენი. პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა მოსკოველმა ალექსეი ნოზდრინმა.

კალენდოსკოპი

მთლიანად დაკარგავს საბერძნეთის ბაზარს (ამ ოლიმპიადის მოწყობა ათენს ეწედა). „კოკა კოლას“ ეს სიძნელეები „პეპსი კოლამ“ გამოიყენა, რომელმაც დიდი სარეკლამო კამპანია გააჩაღა ასეთი ღონისძიებისთვის. ჩვენ ყოველთვის ოლიმპიადის სწორ არჩევანს ვეზირობით.

კვლავ გაცხარდა ბრძოლა ორ დიდ ფორმას „კოკა კოლასა“ და „პეპსი კოლას“ შორის. მას შემდეგ რაც ატლანტამ (აშშ), რომელსაც „კოკა კოლას“ ფორმის „მშობლიურ ქალაქს“ უწოდებენ, 1996 წლის ოლიმპიადის ორგანიზაციის უფლება მიიღო, მას ემზინა, რომ

მთლიანად დაკარგავს საბერძნეთის ბაზარს (ამ ოლიმპიადის მოწყობა ათენს ეწედა). „კოკა კოლას“ ეს სიძნელეები „პეპსი კოლამ“ გამოიყენა, რომელმაც დიდი სარეკლამო კამპანია გააჩაღა ასეთი ღონისძიებისთვის. ჩვენ ყოველთვის ოლიმპიადის სწორ არჩევანს ვეზირობით.

მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა

როგორც სპორტული პრესა იუწყება, შევდმა თომას ლუნდმანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 5 საათსა და 14 წუთში 38.000-ჯერ აკენწლა ბურთი, ისე, რომ, იგი ერთხელაც არ დაუშვია მიწაზე. ადრინდელი რეკორდი მთელი 42 წუთით გაუმჯობესდა.

60 პროფესიონალი მოკრივე... ქალი!

1876 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში უცხოური მატჩი მოეწყო — ერთმანეთს შეეჯიბრა ორი მოკრივე ქალი. ესენი იყვნენ ერთ-ერთი ვარიეტეს მოცეკვავეები: როზა პარლენდი და ნელი სანდერსი. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა სანდერსმა და მიიღო ამ დროისათვის საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯილდო — 200 დოლარი.

იხსენებენ, რა ამ ფაქტს, ამერიკელი მიმოხილველები წერენ, რომ დღეისათვის ამ ქვეყანაში ოფიციალურად აღრიცხულია 60 პროფესიონალი მოკრივე ქალი!

„დავითმთ ცხენოსანთა შეჯიბრება“!

ინგლისელებმა ოფიციალურად სთხოვეს 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს: თუკი მათ რაიმე დაბრკოლება შეექმნებოდათ, ბრიტანელებს დაუთმონ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობაში. ინგლისელებს განზრახული აქვთ სანიმუშოდ ჩაატარონ ეს შეჯიბრება.

იანიც ნოა — რადიოკომენტატორი

ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი იანიკ ნოა რადიოკომენტატორი გახდა. საჩოგბურთო მიმოხილვისთვის მას საფრანგეთის რადიოს ერთ-ერთი პროგრამით კვირაში ერთი საათი ეთმობა. დასაწყისში ნოა შელიან ლელავდა და ამიტომ, იწერდა გადაცემებს, ახლა კი მიკროფონს შეეჩვია და პირდაპირ გადის ეთერში.

მინისტრი — კალიმანჯაროზე

საინტერესო რამ ჩაიფიქრა ტანზანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბენჯამინ მკამამ. იგი დიპლომატიური კორპუსის წევრებთან ერთად, აპირებს ალბინისტური ექსპედიციის მოაწყობას აფრიკის ყველაზე მაღალ მწვერვალზე — კალიმანჯაროზე.

რედაქტორი თენაიზ გაჩაჩილაკა. საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო და სიჩანახაბისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდი თანაუგრძობენ ამავე ფონდის თავმჯდომარეს, დილისტატ ნანა ალექსანდრიას მამის გიორგი ნახტორის ძე ალექსანდრიას გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და ქ. ქვიციანიძე. ჩვენი მისამართი: წერალებისთვის — 880088, ახალბა, მ. კობახიას, 14, დეკანოზისთვის — ახალბა, ილღი. რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 98-97-55, სამედიცინო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „მერანი“ — 98-97-26, „მარათე“ — 98-97-27. ჩვენი ინდექსი 66435. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს, პასუხი არ ეგზავნებათ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20